შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა“

მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი

„ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლაში“ მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. „მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ (შემდეგში - წესი) განსაზღვრავს შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლაში“ (შემდეგში - სკოლა) შემუშავებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 20 სექტემბრის №193/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის“, 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“, 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის“, 2010 წლის 1-ელი ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ მოთხოვნათა გათვალისწინებით და განსაზღვრავს ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლაში მოსწავლის პირველ, ასევე, მომდევნო კლასებში, ჩარიცხვის, მობილობით სარგებლობის, კლასიდან კლასში გადაყვანის, საფეხურის დაძლევის და მოსწავლის სტატუსთან დაკავშრებულ სხვა ძირითად საკითხებს.

2. წესის მიზანია, სკოლაში მოსწავლეების, მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე, მოსწავლის ჩარიცხვით დაინტერესებული პირებისათვის გამჭვირვალე მექანიზმის შექმნა და პროცესების ადმინისტრირებისას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვა.

მუხლი 2. სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. სკოლა, როგორც ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, მოსწავლეთა რაოდენობის დაგეგმვისას ეყრდნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტოროზაციის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შესახებ და სკოლაში ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მოსწავლეთა თავისუფალი რაოდენობის ფარგლებში.

2. მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში მოსწავლეთა კონტინგენტის დაგეგმვისას სკოლა ითვალისწინებს:

ა) საკუთარ რესურსებს (ადამიანური, მატერიალური), მათ შორის მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასკოლო მერხების რაოდენობა (კლასების მიხედვით).

ბ) კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შიდა სტანდარტს - კლასში მოსწავლეთა რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოსეს თვრამეტს;

გ) საკლასო ოთახების რაოდენობას;

დ) მოსწავლეთა მერხებისა და სკამების რაოდენობას (ასაკობრივი კატეგორიისა და ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით);

ე) მოსწავლეებისათვის განკუთვნილი კომპიუტერების რაოდენობას (არანაკლებ 1 კომოპიუტერი ყოველ 20 მოსწავლეზე);

ზ) საერთო გამოყენების შიდა სივრცეს და გარე სარეკრეაციო სივრცეს.

მუხლი 3. მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის წესი

1. სკოლის პირველ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვის მიზნით, სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პირველ კლასში მისაღების მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის და მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისათვის წარმოსადგენი დოკუმენტებისა და წარმოდგენის ვადების დადგენის შესახებ.

2. სკოლის პირველ კლასში შეიძლება ჩაირიცხოს მოსწავლე 6 წლის ასაკიდან ან თუ 6 წელი სასწავლო წლის დაწყების თარიღის ჩათვლით უსრულდება.

3. სკოლის პირველ კლასში ასევე შეიძლება ჩაირიცხოს პირი მშობლის გადაწყვეტილებით, ნებაყოფლობით, თუ 6 წელი წელი სასწავლო წლის დაწყების თარიღის მომდევნო დღიდან პირველ ნოემბრამდე უსრულდება. (2024-2025 სასწავლო წელს - რომელსაც 6 წელი სასწავლო წლის დაწყების თარიღის მომდევნო დღიდან 1 დეკემბრამდე უსრულდება, უფლება აქვს, მშობლის გადაწყვეტილებით ნებაყოფლობით დაიწყოს სწავლა ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე).

4. პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვით დაინტერესებულ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შესაძლებლობა აქვს, დაუკავშირდეს სკოლის წარმომადგენელს და წინასწარ დააზუსტოს სკოლაში სწავლის დეტალები, მათ შორის, დეტალურად გაეცნოს სკოლის სერვისებს, სავალდებულო და დამატებით საგანმანათლებლო მომსახურების თავისებურებას, სკოლის ინფრასტრუქტურას, სახელშეკრულებო ურთიერთობის პირობებს და მოსწავლის მიერ საგანმანათლებლო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით სხვა მისთვის აქტუალურ საკითხებს.

5. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მოსწავლის სკოლაში რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში ელექტორნულად, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით მოსწავლის რეგისტრაციის შემდეგ, მოსწავლის კანონიერმა წარმომადგენელმა, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა უზრუნველყოს მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისათვის აუცილებელი დოკუმენტების წარდგენა.

7. ყველა დოკუმენტის სრულყოფილად და გეგმიურ ვადებში წარმოდგენის შემთხვევაში, გამოიცემა ბრძანება მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის შესახებ.

8. სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერი შესაბამისი სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოფს პირველ კლასში ჩარიცხული თითოეული მოსწავლის ჩარიცვის შესახებ გამოცემული ბრძანების ასახვას ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 4. მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვა საყოველთაო რეგისტრაციის ამოწურვის შემდეგ

1. საყოველთაო რეგისტრაციისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ სკოლაში ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსაგან შესაბამნისი თანხმბოს შემთხვევაში.

2. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ რეგისტრაციის ვადების ამოწურვის შემდეგ მომართვის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერმა წარმომადგენელმა განცხადებით უნდა მიმართოს სკოლის დირექტორს, რომელშიც უნდა ასახოს ობიექტური გარემოება, რომლის გათვალისწინებით, ვერ უზრუნველყო დაგდენილ ვადებში მოსწავლის რეგისტრირება. განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (სკოლაში დადგენილი საქმისწარმოების ზოგადი წესის შესაბამისად);

ბ) მოსწავლის დაბადების მოწმობის ასლი;

გ) სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სხვა დოკუმენტი/დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული განცხადების სათანადოდ წარმოდგენის და საქმისწარმოების წესის შესაბამისად სკოლაში დარეგისტრირების შემდეგ, სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერი უზრუნველყოფს სამინისტროს სახელზე კორესპოდენციის მომზადებას და დირექტორისათვის წარდგენას. დირექტორის მხრიდან ხელმოწერის შემდეგ, სამინისტროს ეგზავნება კორესპოდენცია მოსწავლის ჩარიცხვის უფლების მოპოვების შესახებ, რომელსაც ერთვის მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, მოსწავლის დაბადების მოწმობა და განმცხადებლის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. სამინისტროსგან დადებითი დასტურის მიღების შემთხვევაში, ადმინისტრაციული მენეჯერი უზრუნველყოფს მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ ბრძანების მომზადებას და დირექტორის მიერ ხელმოწერის შემდეგ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვას, ასევე, მოსწავლის შესახებ მონაცემების ასახვას, შესაბამისი აქტის გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში.

5. სამინისტროსგან უარის მიღების შემთხვევაში, მოსწავლის ჩარიცხვასთან დაკავშირებული საკითხის წარმოება წყდება, რის შესახებაც მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს ეცნობება წერილობით, შესაბამისი დასაბუთებით.

მუხლი 5. სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის წესი

1. იმ შემთხვევაში, თუ პირველ კლასში რეგისტრირდება მოსწავლე, რომელიც სავარაუდოა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირია, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი ამ წესის შესაბამისად განცხადების წარმოდგენისას უთითებს ბავშვის სავარაუდო სპეციალურ საჭიროებაზე. სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერი აცნობს კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასების პროცედურას და ინკლუზიური განათლების ზოგად საკითხებს და შესავსებად გადასცემს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული მომართვის ფორმას, რომელსაც დაურთავს შესაბამის დოკუმენტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ შევსებული ფორმას თანდართულ დოკუმენტებთან ერთად ოფიციალური კორესპოდენციის სახით, საქმისწარმოების ზოგადი წესის შესაბამისად სკოლა უგზავნის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის

სტრუქტურულ ქვედანაყოფს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის“ შესაბამისად, პროცედურის ზოგადად დადგენილი წესის შესაბამისად წარმართვისა და მოსწავლის შეფასების მიზნით.

3. პირი სკოლაში ირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლედ მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის (რომლითაც დგინდება პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება) საფუძველზე, ჩარიცხვის წესის შესაბამისად.

4. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დაუდგენლობა სკოლის მიერ პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია. რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, პირის ჩარიცხვა სკოლაში ხორციელდება ჩარიცხვის ზოგადი წესის შესაბამისად.

მუხლი 6. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა (გარდა პირველი კლასისა)

1. სკოლაში დაწყებითი (გარდა პირველი კლასისა), საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასებში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების შესაბამისად, მოსწავლის ჩარიცხვაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი.

2. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვით დაინტერესებული მოსწავლის კანონიერმა წარმომადგენელმა განცხადებით უნდა მიმართოს სკოლის დირექტორს. წარმოდგენილ განცხადებას უნდა ერთვოდეს მოსწავლის დაბადების მოწმობა და განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის შესახებ, რაც ორი სამუშაო დღის ვადაში აისახება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

4. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის ასაკი აღემატება 10 წელს და არ აქვს საგანმანათლებლო ისტორია ან გარკვეული მიზეზების გამო გამოტოვებული აქვს კლასი/კლასები, იგი სკოლაში ირიცხება როგორც სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე და მულტიდისციპლინური გუნდის საფუძველზე უფლება აქვს, ექსტერნატის გარეშე ჩაირიცხოს შესაბამის კლასში, ასაკის შესაბამის კლასში ან არაუმეტეს სამი კლასით დაბალ კლასში.

5. თუ პირი 18 წელს გადაცილებული, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირია, იგი სკოლაში ირიცხება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით განსაზღვრულ დაწყებით ან საბაზო საფეხურზე შესაბამის კლასში.

მუხლი 7. სკოლაში იმ პირის ჩარიცხვის თავისებურებები, რომელსაც ცალკეული კლასი/კლასები დაძლეული აქვს უცხოეთში სწავლის პერიოდში

1. იმ შემთხვევაში, თუ პირს ცალკეული კლასი/კლასები დაძლეული აქვს უცხოეთში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1-ელი ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“

შესაბამისად უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებამდე უფლებამოსილია, წარმოადგინოს განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე. თუ პირი არასრულწლოვანია, განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს კანონიერი წარმომადგენლის მიერ.

2. წარმოდგენილ განცხადებას უნდა ერთვოდეს შესაბამისი პირის და ასევე, მისი კანონიერი წარმომადგენლის (თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია) პირადობის დამადასატურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები, ასევე, დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საზღვარგარეთ სწავლის პერდიოში მიღებული განათლებისა და შეფასებების შესახებ. უცხოენოვანი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი სანოტარო წესით წარმოდგენილი თარგმანის სახით.

3. ამ მუხლის შესაბამისად განცხადების დარეგისტრირების შემთხვევაში, დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული საგნების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებთან თავსებადობის დადგენის მიზნით, სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას კომისიის შექმნის შესახებ, რომელშიც შედიან შესაბამისი საგნის მასწავლებლები.

4. კომისია საქმიანობას ახორციელებს ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში. წარმოდგენილი დასკვნა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნებისა და ამ საგნებში მიღებული შეფასებების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შეფასებებზე გადაყვანის შედეგად მიღებული შეფასებები.

5. კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნა სათანადო წესით დამოწმებული გადაეცემა განმცხადებელს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარდგენის მიზნით.

6. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი დაინტერესებულია სასწავლო პროცესში განათლების აღიარებამდე ჩართვით, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში რეგისტრაციის შემდეგ, შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს სკოლის დირექტორს.

7. წარმოდგენილ განცხადებას უნდა ერთვოდეს სსიპ - განათლების აღიარების ეროვნულ ცენტრში უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ განცხადების რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობა.

8. წარმოდგენილი განცხადების განხილვის შემდეგ, ცენტრის მხრიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი პირის სასწავლო პროცესში მონაწილეობის და შესაბამისი კლასის გაკვეთილზე დასწრების შესაძლებლობას.

9. ამ მუხლით განსაზღვრული პირი სკოლაში ირიცხება განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტში მითითებული კლასის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტიდან არ ირკვევა, თუ რომელ კლასში აქვს პირს მიღებული განათლება, იგი ირიცხება ასაკის შესაბამის ან, მისი თანხმობის შემთხვევაში, უფრო დაბალ კლასში.

10. ამ მუხლით განსაზღვრული პირი უფლებამოსილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, რომლებთან შესაბამისობაც არ იქნა დადგენილი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაძლიოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ან ექსტერნატის ფორმით. იმ შემთხვევაში, თუკი პირმა ვერ შეძლო შესაბამისი საგნების დაძლევა სასწავლო წლის დასრულებამდე, სკოლა არ არის უფლებამოსილი, მოსწავლე გადაიყვანოს მომდევნო კლასში.

მუხლი 8. სკოლაში მობილობის წესი

1. სკოლაში მობილობის წესით გადმოსვლის უფლება აქვს მოსწავლეს, რომლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის დროისათვის არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლე.

2. მოსწავლის მობილობა სკოლაში ხორციელდება თავისუფალი ადგილების რაოდენობის ფარგლებში.

3. მობილობით დაინტერესებულ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შესაძლებლობა აქვს, დაუკავშირდეს სკოლის წარმომადგენელს და წინასწარ დააზუსტოს სკოლაში სწავლის დეტალები, მათ შორის, მოსწავლესთან ერთად დეტალურად გაეცნოს სკოლის სერვისებს, სავალდებულო და დამატებით საგანმანათლებლო მომსახურების თავისებურებას, სკოლის ინფრასტრუქტურას, დააზუსტოს სახელშეკრულებო ურთიერთობის პირობები და მოსწავლის მიერ საგანმანათლებლო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით სხვა მისთვის აქტუალურ საკითხები და გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, განცხადებით მიმართოს სკოლის დირექტორს. განცხადება უნდა შეიცავდეს მოსწავლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს (სახლი, გვარი და პირადი ნომერი) და ინფორმაციას სკოლის შესახებ, რომელშიც შესაბამისი დროისათვის ირიცხება მოსწავლე. განცხადებას უნდა ერთვოდეს კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. მობილობის პროცესის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერი, ზოგადი განათლების მართვის სისტემაში სპეციალური მოდულის მეშვეობით, ელექტრონულად.

5. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადების სკოლის საქმისწარმოების წესის შესაბამისად დამუშავების (ოფიციალურად დარეგისტრირების შემდეგ), სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერი ამზადებს ოფიციალურ წერილს (მოთხოვნას) შესაბამისი სკოლის სახელზე, რომელშიც ირიცხება მოსწავლე. დირექტორის მიერ ხელმოწერის შემდეგ წერილი, თანდართულ მშობლის განცხადებასთან ერთად ზოგადი განათლების მართვის სისტემის სპეციალური მოდულის მეშვეობით წარედგინება შესაბამის სკოლას.

6. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა განხორციელდება ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისი სკოლიდან დადასტურების და მოსწავლის ამორიცხვის შესახებ შესაბამისი სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - მოსწავლის სკოლიდან ამორიცხვის შესახებ ბრძანების ატვირთვის შემდეგ.

7. მობილობის ელექტრონული მოთხოვნის დადასტურების შემთხვევაში, მიმღები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანების ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში განთავსებას/ატვირთვას და მობილობის პროცესის დასრულებას.

8. იმ შემთხვევაში, თუ კალენდარული კვირის განმავლობაში ერთი და იმავე დაწესებულებიდან სკოლაში მობილობის სურვილს გამოთქვამს 50 (ან მეტი) მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი, სკოლა უფლებამოსილია, მობილობის პროცედურა წარმართოს ზოგადი წესით ან წერილობით მიმართოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას და მოითხოვოს მობილობის განხორციელება. კორესპოდენციას ერთვის მოსწავლეთა სახელობითი სია (ელექტრონული სახით), იმ სკოლის თანხმობა, რომლიდანაც

გადადიან მოსწავლეები და მათი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან ამორიცხვის შესახებ ბრძანება, ასევე, სკოლაში ჩარიცხვის შესახებ ბრძანება.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოსწავლეების მობილობის განხორციელების შემთხვევაში სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას მოსწავლეების შესაბამის კლასებში/პარალელებში გადანაწილების შესახებ, რაც აისახება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალურ მოდულში.

10. მობილობის წესით მოსწავლე სკოლაში ირიცხება იმ კლასის მომდევნო კლასში, რომელიც დაძლეული აქვს.

მუხლი 9. სკოლაში მობილობის შეზღუდვა

1. სკოლაში საქართველოში მოქმედი ზოგადი წესის შესაბამისად მობილობა იზღუდება:

ა) კალენდარული წლის პირველი სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე;

ბ) ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, იმ ზოგადსაგანმანათლებლოლ დაწესებულებების პირველი კლასის მოსწავლეებისთვის, რომლებმაც სწავლა დაიწყეს ზოგადი განათლების შესახებ 7^1 პუნქტით განსაზღვრული სასწავლო წლის დაწყების თარიღზე გვიან. ამასთან, ამ პუნქტით გათვალისწინებული მობილობის შეზღუდვა არ ვრცელდება იმ პირველი კლასის მოსწავლეებზე, რომლებსაც ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკი შეუსრულდათ სასწავლო წლის დაწყების თარიღის ჩათვლით და სწავლობენ იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებმაც სწავლა დაიწყეს სასწავლო წლის დაწყების თარიღიდან არაუგვიანეს 1 თვისა;

გ) სასწავლო წლის დასრულებამდე 30 კალენდარული დღის განმავლობაში;

დ) მე-12 კლასელებისათვის მე-12 კლასის მე-2 სემესტრის მიმდინარეობისას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის მიუხედავად, სკოლაში მობილობა შეუფერხებლად შეიძლება განხორციელდეს, თუ შესაბამისმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ, რომელშიც ირიცხება მოსწავლე დაკარგა ავტორიზაცია.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის მიუხედავად, სკოლაში მობილობა შეიძლება განხორციელდეს განსაკუთრებული, ობიექტური გარემოებების შემთხვევაში. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი განცხადება, გარდა ამავე წესით განსაზღვრული სხვა საჭირო ინფორმაციისა, უნდა მოიცავდეს დასაბუთებას ობიექტური გარემოების შესახებ.

4. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სკოლაში მობილობის შესახებ განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, მისი საქმისწარმოების ზოგადი წესის მიხედვით დამუშავების შემდეგ სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერი უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელზე კორესპოდენციის მომზადებას, რომელსაც ერთვის კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. დირექტორის მიერ ხელმოწერილი კორესპოდენცია ეგზავნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და შესაბამისი დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში ხორციელდება სკოლაში მოსწავლის მობილობის პროცედურა, ზოგადი წესის შესაბამისად.

მუხლი 10. სკოლიდან მობილობის წესით სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა

1. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სურვილით მოსწავლის სხვა სკოლაში მობილობის შემთხვევაში, მოსწავლის პირად საქმეს და სხვა სკოლაში ჩასარიცხად წარსადგენ დოკუმენტებს მოსწავლის მიმღებ სკოლას გადასცემს მოსწავლის მიმღებ სკოლას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ სათანადო განცხადების წარმოდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

2. მოსწავლის სხვა სკოლაში მობილობის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ შესაბამისი განცხადების წარმოდგენიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს სკოლისათვის წინასწარ გადახდილი სწავლის საფასურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაბრუნებას.

მუხლი 11. მოსწავლის სტატუსის შეჩერება

1. სკოლა მოსწავლეს შეუჩერებს სტატუსს, თუ:

ა) მოსწავლე 45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში/არ მონაწილეობს დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდრლის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში და არ იღებს შეფასებას. აღნიშნული საფუძვლით მოსწავლის სტატუსის შეჩერებამდე, კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს გარდა, სკოლა ვალდებულია, განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის, ზედიზედ მე-10 და მე-20 სასწავლო დღის გაცდების შემთხვევაში, კლასის მრჩეველი ვალდებულია, მოამზადოს წერილობითი ანგარიში მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენის მიზეზების დასადგენად და მის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგების შესახებ. მოთხოვნის შემთხვევაში, ანგარიში წარედგინება საგანმანათლებლო რესურსცენტრს. ზედიზედ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მართვის მიზნით, კლასის დამრიგებელთან ერთად სკოლა პროცესში რთავს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალურ მუშაკს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მასთან რეფერირებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ახორციელებს ვიზიტს ოჯახში დამრიგებლის მიერ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით დასახული ღონისძიებების მიზეზების დასადგენად და/ან მიღწეული შედეგების მდგრადობის შესაფასებლად. მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემდეგ, თუ გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობა/მონაწილეობის მიუღებლობა დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში, გახდა მიზეზი არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვიდა, სკოლა მოქმედებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ) მოსწავლე მიემგზავრება/გაემგზავრა საზღვარგარეთ და მოსწავლის მშობელი წერილობით მიმართავს სკოლას;

გ) სკოლაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე და სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე;

დ) არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელი/სრულწლოვანი მოსწავლე სკოლას მიმართავს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით. არასრულწლოვანი მოსწავლის სტატუსის

შეჩერების გადაწყვეტილების მიღებამდე სკოლა ვალდებულია, მოიკვლიოს და საჭიროების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალურ მუშაკთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეფერირების გზით, დაადგინოს მშობლის მოთხოვნის მიზეზები. ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი ვალდებულია, თავის მხრივ, მოიკვლიოს და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს რეფერირება შესაბამის ორგანოში.

2. მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, გამოიცემა სკოლის დირექტორის ბრძანება, რის შესახებაც ეცნობება მოსწავლის მშობელს ორი სამუშაო დღის განმავლობაში. შესაბამისი ბრძანება და ინფორმაცია მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ აისახება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. სკოლის ავტორიზაციის გაუქმების/სკოლისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოსწავლის მობილობის/სტატუსის შეჩერების საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 12. მოსწავლის სტატუსის აღდგენა

1. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს შეჩერებული აქვს სტატუსი და დაინტერესებულია სტატუსის აღდგენით, შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს სკოლას.

2. მოსწავლეს სტატუსი აღუდგება იმიავე კლასში, რომელშიც შეუჩერდა სტატუსი.

3. იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება მოსწავლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომდევნო კლასის/კლასების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის ფაქტი, სტატუსი აღუდგება შესაბამის კლასში.

4. მოსწავლის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ბრძანება.

5. მოსწავლის სტატუსის აღდგენის შესახებ ინფორმაციას სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერი ასახავს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, ბრძანების გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 13. მოსწავლის სტატუსის შეწყვეტა

1. მოსწავლის სტატუსის შეწყვეტა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოსწავლის საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების პირობების დარღვევისა და ფინანსური დავალიანების არსებობის შემთხვევაში, ასევე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და სკოლის შინაგანაწესით დადგენილი წესის შესაბამისად საშუალოს საფეხურზე შესაძლებელია მოსწავლის გარიცხვა, სკოლის დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. სკოლა ვალდებულებას იღებს, ფინანსური დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში მოსწავლეს დაასრულებინოს მიმდინარე სასწავლო სემესტრი.

3. სკოლა უფლებამოსილია, ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლეს შეუწყვიტოს მოსწავლის სტატუსი მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ, მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე გონივრულ ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის შეუფერხებელი მობილობის უზრუნველსაყოფად.

4. სკოლა ფინანსური დავალიანების წარმოშობისთანავე უზრუნველყოფს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის გაფრთხილებას და განუსაზღვრავს მას გონივრულ ვადას შესაბამისი ვალდებულებების შესასრულებლად, ასევე, განუმარტავს მას ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგებს.

5. მოსწავლისათვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ სკოლა არაუგვიანეს მომდევნო წლისა აცნობებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.

6. ფუნანსური დავალიანების საფუძვლით მოსწავლისათვის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, სკოლა შესაბამისი მოსწავლის პირად საქმეს და სხვა სკოლაში მის ჩასარიცხად წარსადგენ სხვა დოკუმენტაციას გადასცემს მოსწავლის მიმღებ სკოლას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 14. კლასისა და საფეხურის დაძლევა

1. სკოლაში კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ თითოეული საგნის წლიური ქულა არის 5.0 ან მეტი და არადიფერენცირებული შეფასების შემთხვევაში მოსწავლეს მიღებული აქვს "ჩათვლა".
2. დაძლეული კლასის სკოლაში განმეორებით გავლა დაუშვებელია.
3. თუ მოსწავლეს კლასში რომელიმე საგანში აქვს 5.0-ზე დაბალი წლიური შეფასება, სკოლა მას უზრუნველყოფს რემედიაციის პროგრამით საშემოდგომო გამოცდის ჩატარებამდე.
4. რემედიაციის პროგრამა სპეციალურად იქმნება კონკრეტული მოსწავლისთვის სასწავლო პროცესში გამოკვეთილი შეფერხებების აღმოფხვრის მიზნით. რემედიაციის პროგრამის შემუშავების საკითხები დამატებით განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.
5. საშემოდგომო გამოცდის წესი და პროცედურა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.
6. რემედიაციის პროგრამას დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმის სახით სკოლა ასევე სთავაზობს იმ მოსწავლეებს, რომლებიც არიან სკოლის მიღმა ან იმყოფებიან სკოლის მიტოვების მაღალი რისკის ქვეშ. კურიკულუმის შინაარსს განსაზღვარვს თავად სკოლა ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით.
7. გამონაკლის შემთხვევაში, დასაშვებია, სსსმ მოსწავლეს არ ჰქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას. თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.
8. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე. თუ სსსმ მოსწავლეს აქვს მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი, სსსმ მოსწავლის მიმართ არ ვრცელდება ამ პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები.
9. სკოლა ვალდებულია საჭიროებისამებრ შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს მოსწავლე. შინ სწავლების წესსა და პირობებს განსაზღვრავს სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით და იგი უნდა ემსახურებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების რეალიზებას.
10. სკოლის კლასის/საფეხურის დაძლევა ფორმდება კლასის მრჩევლის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული სკოლის დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 15. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი

1. მოსწავლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, სკოლა გასცემს მოსწავლის მიერ საგნების გავლის დამადასტურებელ ცნობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ შემუშავებული ფორმის მიხედვით.

2. საბაზო საფეხურის დაძლევის შემდეგ მოსწავლე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს - საბაზო განათლების ატეტატს.

3. საშუალო საფეხურის დაძლევის შემდეგ მოსწავლე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს - სრული ზოგადი განათლების ატეტატს.